ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2/35გ

ქ. თბილისი 28 თებერვალი , 2012 წელი

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი **საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო**, მდებარე ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12 (შემდგომში "შემსყიდველი"), სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან თამარ გოდერძიშვილის სახით, და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს "ტრიკოლორი"** (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნინო გეგეშიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 თებერვლის №230 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსყიდველი მიმწოდებლისგან იძენს საქართველოს ეროვნული ბიზნეს დაჯილდოება "მერკური 2012"-ის ღონისძიების ორგანიზების მომსახურებას და აღნიშნულისათვის გადაუხდის შემსრულებელს სახელშეკრულებო თანხას წინამდებარე ხელშეკრულების მე-2, მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილი ოდენობითა და წესით.

1.2. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 79952000 (ღონისძიებების ორგანიზება).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 24 949, 18 ლარს (ოცდაოთხიათას ცხრაასორმოცდაცხრა ლარი და თვრამეტი თეთრი), დღგ-ს ჩათვლით.

2.2 ანგარიშსწორება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მიმწოდებელი, შემსყიდველის მიერ სახელშეკრულებო თანხის გადახდის სანაცვლოდ, იღებს ვალდებულებას განახორციელოს საქართველოს ეროვნული ბიზნეს დაჯილდოება "მერკური 2012"-ის ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

3.2. 3.1. პუნქტში გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში შემსრულებელი განახორციელებს შემდეგ სამუშაოებს:

- მაღალი ხარისხის ბროშურის ბეჭდვა (300 ცალი)
- ბანერების ბეჭდვა და ბილბორდების დამზადება (სულ 4 ბანერი)
- ღონისძიებისთვის საჭირო კლიპების დამზადება: სულ 4 კლიპი, აქედან ორი კლიპი სატელევიზიო, თითო 26 წამი და ორი გარე ეკრანის კლიპი, თითო 40 წამი;
- 09 – მომსახურების უზრუნველყოფა: 2000 აბონენტის ინფორმირება "მერკური 2012:-ის სარეგისტრაციო პროცედურის შესახებ;
- ღონისძიების შესახსენებელი მოსაწვევების დამზადება და მათი დარიგება

3.3. 3.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურებების აღწერა და ღირებულება გაწერილია დანართი №1-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების გაწევა მოხდება არაუგვიანეს 2012 წლის 20 აპრილისა.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს უფლებამოსილი პირი, კორპორატიული კომუნიკაციების მენეჯერი, ნინო სხირტლაძე.

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მომსახურების გაწევიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ანგარიშფაქტურისა და სხვა საჭირო დოკუმენტების წარმოდგენიდან და არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

5.2. სახელმწიფოსთან საგადასახადო და სხვა სახის ანგარიშსწორებას აწარმოებს მიმწოდებელი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. დაიცვას ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობები და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გაუწიოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის და ოდენობის მომსახურება;

6.1.2. განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს შემსყიდველის ინტერესებს;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩაიბაროს გაწეული მომსახურება, თუ მომსახურება შეესაბამება შეთანხმებულ ოდენობას და ხარისხს;

6.2.2. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს გაწეული მომსახურების საფასური.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. თავის მხრივ, ანგარიშსწორების ვადების დარღვევისას, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, შემსყიდველს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხის 0.1%-ს ყოველ გადაცილებულ დღეზე,.

8. კონფიდენციალობა

8.1. მხარეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამ ხელშეკრულების პირობები ან სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც მათთვის გახდება ცნობილი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

8.2. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მხარეები სრულად აგებენ პასუხს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ძალაში რჩება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარის (მხარეთა) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების შედეგად.

9.2. ფორს-მაჟორულია გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეთათვის გადაულახავ, მათგან დამოუკიდებელ პირობებს (არ არიან გამოწვეული მხარეთა განზრახ ან გაუფრთხილებელი, არასწორი მოქმედებების შედეგად) და რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია.

9.3. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ის მხარე, რომელსაც აღნიშნული გარემოებები ხელს უშლიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და/ან მათი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და უნდა იყოს ხელმოწერილი მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 28 თებერვლიდან - ორივე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრისა.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისთანავე, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ან მხარეთა შეთანხმებით - ვადამდე.

11.3. ერთ-ერთი ან ორივე მხარის ლიკვიდაციის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულება წყდება ვადამდე.

11.4. ხელშეკრულება შესრულებულია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 2 ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო 1 ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

12. დავის გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

12.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაუჭრელობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

12.3. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი ფორმა დაცულად ითვლება ინფორმაციის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაცვლის შემთხვევაშიც, გარდა ამ ხელშეკრულების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13. ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველს ან/და მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული შემოწმება.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების მიღება-ჩაბარებას და ინსპექტირებას ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული პირი.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ან ურთიერთშეთანხმების აქტის გზით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

16.1. შემსყიდველს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

16.1.1. თუ მიწმოდებელი სისტემატურად არღვევს ან არსებითად დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

16.1.2. შემსყიდველისათვის მომსახურების მიღებამდე ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

16.1.3. შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მატერიალური ან სხვა მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესების გამო საფრთხე ექმნება მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულებას;

16.1.4. თუ წარმოიშვა ხელშეკრულების 9-ე პუნქტით გათვალისწინებული ფორს მაჟორული მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დროულ შესრულებას;

16.1.5. თუ წარმოიშვა ხელშეკრულების 13-ე პუნქტით გათვალისწინებული მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დროულ შესრულებას;

16.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ს, ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების 16.1.2., 16.1.3, 16.1.4. და 16.1.5. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

შემსყიდველი:
სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“
ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12
ტელ.: +(995-322) (433433/ 106392)
ს.კ. 204990082
საქართველოს ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი 220101222
ა/ა №200122900

მიმწოდებელი:
შპს „ ტრიკოლორი “
რუსთაველის გამზირი №18;
ტელ.: +(995-5-595 957909)
ს.კ. 204470562
სს “საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: 220101502
ა/ა GE32BG0000000890092701

/თამარ გოდერძიშვილი/
დირექტორის მ.შ.

/ნინო გეგეშიძე /
დირექტორი

საქართველოს ეროვნული ბიზნეს დაჯილდოება „მერკური 2012" – მოსამზადებელი ფაზა

მომსახურების ბიუჯეტი

№	დასახელება	ერთ. ფასი	რაოდ	ფასი
•	ბროშურის ბეჭდვა: დაკაბადონება, ციფრული ბეჭდვა, ფორმატი 16სმX22სმ, ქაღალდი 200 გრ	4,6666667	300	1400
•	ბანერის ბეჭდვა ბილბორდების დამზადება / 2 ცალი-წარადგინე ბიზნესი	1547,5	2	3095
•	ბანერის ბეჭდვა ბილბორდების დამზადება / 2 ცალი-ხმა მიეცი რჩეულს	1547,5	2	3095
•	კლიპების დამზადება: 4 კლიპი სულ; ხანგრძლივობა - №1, №2 - 26 წმ, 26წმ / №3, №4 - 40წმ, 40 წმ	8750	1	8750
•	09 - მომსახურება: 2000 აბონენტის ინფორმირება "მერკური 2012-ის სარეგისტრაციო პროცედურის შესახებ;	1	2000	2000
•	საკომუნიკაციო და სხვა ხარჯი: სატელეფონო, სატრანსპორტო - მძღოლი, ტაქსი, ბუკლეტის ესკიზების ბეჭდვა;	800	1	800
•	ტრიკოლორის ჰონორარი	1282,5	1	1282,5
•	საშემოსავლო გადასახადი	320,87	1	320,87
•	კომპანიის მოგება	400	1	400
	სულ პროექტის ღირებულება დღგ-ს გარეშე			21143,37
	დღგ			3805,807
	პროექტის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით			24949,18

„შემსყიდველი":

„მიმწოდებელი" :